IV შეტყობინება, 12 აგვისტო

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის I საერთაშორისო კონფერენცია

ძვირფასო კოლეგებო,

მოგეხსენებათ, რომ გადაწყვეტილია საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის I კონფერენციის ჩატარება 2010 წლის 12-19 სექტემბერს ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში.

სპონსორები:

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

თ. ბუჩუკური (ინფორმაციული უზრუნველყოფა), გ. გიორგაძე, უ. გოგინავა, გ. გოგიშვილი, დ. კაპანაძე (ფინანსებზე პასუხისმგებელი), რ. დუდუჩავა (თავმჯდომარე), ა. კვინიხიძე, ჰ. მელაძე, დ. ნატროშვილი, გ. ონიანი (მოადგილე), ხ. რუხაია, თ. ქადეიშვილი (მოადგილე), თ. ჩილაჩავა, ნ. ჩინჩალაძე (მდივანი), გ. ჯაიანი.

ადგილიბრივი საორგანიზაციო კომიტეტი:

ვ. ბალაძე, ა. ბერიძე, შ. მახარაძე

ვორკშოპები:

კონფერენცია შედგება ცალკეული ვორკშოპებისაგან,. დღევანდელი მონაცემებით იმუშავებს შემდეგი ვორქშოპები:

- ტოპოლოგია (თ. ქადეიშვილი, ვ. ბალაძე)
- გამოყენებითი ლოგიკა და პროგრამირება (მ. ბააზი, ჯ. ანთიძე, ხ. რუხაია)
- თეორიული ფიზიკა (ა. კვინიხიძე)
- კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენებები (რ. დუდუჩავა, დ. ნატროშვილი)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (დ. გორდეზიანი, ჰ. მელაძე, თ. ჩილაჩავა)
- უწყვეტ გარემოთა მექანიკა (რ. ბანცური, ჯ. შარიქაძე, გ. ჯაიანი)
- ფუნქციათა სივრცეები და აპროქსიმაცია (უ. გოგინავა)
- კომპლექსური ანალიზი და გამოყენებები (გ. გიორგაძე, გ. ხიმშიაშვილი)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე)

საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს, რათა მოიპოვოს დამატებითი თანხები იმ მონაწილეთა დასაფინანსებლად, ვისაც არ გააჩნიათ სამივლინებო თანხები. ასეთმა მონაწილეებმა უნდა მოგვმართონ განცხადებით. თუმცა იმის გარანტიას, რომ ფინანსური მხარდაჭერა აუცილებლად იქნება, ვერ ვიძლევით.

სარეგისტრაციო შესატანები:

გაცნობებთ, რომ **სარეგისტრაციო შესატანი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრებისათვის (რომელთაც გადახდილი აქვთ ბოლო 3 წლის საწევრო შესატანები, 2010 წლის საწევრო შესატანის ჩათვლით) არის 50 ლარი.** შეგახსენებთ რომ საწევრო გადასახადი შეადგენს **10 ლარს წლიურად.** ზოგიერთ მონაწილეს, მისი პირადი განცხადების საფუძველზე და სპეციალური განხილვის შედგად, გაეწევა შეღავათები შესაძლებელობის ფარგლებში.

დარეგისტრირებულ მონაწილეებს გადაეცემათ თეზისები (1 ეგზემპლარი) და კონფერენციების მასალები.

სარეგისტრაციო თანხისა და სასტუმროს საფასურის გადახდის შესაძლო ფორმები:

A) ჩარიცხვა ანგარიშზე:

მიმღები ბანკი: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: 220101 819

მიმღების დასახელება: საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი

თანხის დანიშნულება: (ნიმუში) ი. განტოლებაძის საწევრო-10 ლ. (20 ლ., 30 ლ.), კონფ. შესატანი-40 ლ, სასტუმრო "ევა/ლიზა" ან მაგნოლია (k დღე)-25k ლ., $2 \le k \le 7$.

ანგარიშის ნომერი: 96636180100003

B) გადახდა უშუალოდ კავშირის წარმომადგენლებთან ორგანიზაციებში:

დავით კაპანაძე - მათ. კავშირის ხაზინადარი, ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

ნატო ჩინჩალაძე - ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

შოთა მახარაძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ნიკა გორგოძე - წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

თემურ ჩილაჩავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონაწილეთა განთავსება (სასტუმროები):

როგორც შეგპირდით ყველასათვის, ვინც შემოიტანა განაცხადი და გადაიხადა ან ჩარიცხა ბანკში ჩვენს ანგარიშზე სასტუმროში განთავსების თანხა, სასტუმროები დაჯავშნულია პრინციპით: უცხოელების ნაწილი-"პრესტიჟში" (7 ნომერი), ზოგი უცხოელი და ყველა ქართველი მონაწილე-"მაგნოლოაში".

სასტუმრო "მაგნოლია" შევსებულია. როგორც ეს მოსალოდნელი იყო სასტუმროები ("პრესტიჟი", "ევა", "ლიზა") ამ ეტაპზე ამბობენ უარს დაჯავშნონ ნომრები დაბალ ფასებში 12-19 სექტემბერისათვის. ისინი გვთავაზობენ მივმართოთ მათ 30 აგვისტოსათვის. ამ დროისათვის მათ ეცოდინებათ თავიანთი შესაძლებლობები და შესაძლებელი იქნება მათგან ფასების ზოგიერთი დათმობა. არც ერთ შემთხვევაში ფასები აღარ იქნება ისეთი როგორიც იყო (20 ლარი/საწოლი/დღე კვების გარეშე).

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ პირადად ზემოთ მითითებულ სასტუმროებს ან სხვას (მათი რიცხვი დიდია) და დაჯავშნოთ ადგილი. მაგრამ გაცილებით მომგებიანი იქნება თუ თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებას 31 აგვისტომდე, ჩაგვირიცხავთ შესაბამის საბაზისო თანხებს 30 ლარი/საწოლი/დღე კვების გარეშე და ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას თქვენთვის ჯგუფურ განთავსებაზე. თუ თანხა აღმოჩნდება ნაკლები, სხვაობა დაგიბრუნდებათ, თუ აღმოჩნდება მეტი, შეგითანხმებთ წინასწარ ხართ თუ არა თანახმა რომ დაუმატოთ (ამისათვის აუცილებლად

დაურთეთ გაბნაცხადს თქვენი ტელეფონები და მეილები). მათი განაცხადები ვინც არ გადაიხდის მითითებულ თანხას, არ განიხილება.

ახალი განაცხადების მიღების უკანასკნელი ვადაა 31 აგვისტოს 24 საათი. პროგრამაში გათვალისწინებულია ექსკურსიის მოწყობა ბათუმის შემოგარენში და სხვა ღონისძიებები დამატებითი საფასურის გადახდით.

რეგისტრაცია:

კონფერენციაზე რეგისტრაცია შესაძლებელია წერილის გამოგზავნით შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

GeorgianMU@gmail.com ან **GMU@rmi.acnet.ge**

წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. გვარს, სახელს
2. სამუშაო ადგილი
3. e-mail-ს, ტელეფონის ნომრებს (სამსახური, მობილური)
4. მოხსენების სათაურს სექციის, ვორკშოპის მითითებით
5. სასტუბროს შეკვეთა თარიღების ადგილების რაოდენობის მითითებით. გაითვალისწინეთ რომ ცალკე ოთახის ფასია 50 ლარი/ღამე
6. ზუსტ ცნობებს თანხლები პირების შესახებ
7. აპირებთ თუ არა თეზისის (თეზისების) გამოქვეყნებას

მოგვიანებით შესაძლებელი იქნება ელექტრონულად დარეგისტრირება მისამართზე:

http://rmi.acnet.ge/~gmu/GMU_Conference_G.htm

თეზისები:

დაგეგმილია კონფერენციის თეზისების გამოცემა. ყველა მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს თეზისები **25 აგვისტომდე.** ქართულ ან ინგლისურ ენაზე LaTex-ის ფაილის ფორმატით, თანდართული ნიმუშის მიხედვით, არა უმეტეს 1 გვერდი. შესაძლებელია თეზისი წარმოდგენილ იქნას Word-ის ფაილის ფორმატით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის არ შეიცავს ფორმულებს. თეზისების მიღების წინაპირობაა კონფერენციის შესატანის გადახდა 31 აგვისტომდე. თუ ეს პირობა დაირღვა, ან თეზისის ფორმატი არ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, თეზისი არ გამოქვეყნდება.

მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ 2 ან მეტი თეზისი, მაგრამ **ყოველი დამატებითი თეზისისათვის მათ უნდა გადაიხადონ თეზისების თვითღირებულების საფასური-10 ლარი.**

ინფორმაციის გავრცელება:

ოპერატიული ინფორმაციის მისაღებად კონფერენციის თაობაზე მიმართეთ კავშირის WEB-გვერდს **http://rmi.acnet.ge/~gmu/** და კონფერენციის სპეციალურ WEB-გვერდს

http://rmi.acnet.ge/~gmu/GMU_Conference_G.htm

რ. დუდუჩავა

როლანდ დუდუჩავა
საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,
საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი